ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32050102-32050101/01/266

(CPV30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები)

(CPV30213300 - მაგიდის კომპიუტერები (დესკტოპები))

ქ. თბილისი 3 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „იუ-ჯი-თი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულებითა და 2014 წლის 29 ოქტომბრის N854544 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 4 332 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერის - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1-ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) **3 348 636 (სამი მილიონ სამასორმოცდარვა ათას ექვსასოცდათექვსმეტი)** ლარი დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი: 32050102) - 3 320 035 ლარი (4 295 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი);

ბ) სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (ორგანიზაციული კოდი: 32050101) - 28 601 ლარი (37 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი).

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.5. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.6. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი პატარაშვილი და სააგენტოს IT სპეციალისტი ირაკლი ჯიბუტი;

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;

6.3. მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ

შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;

7.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

7.3. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მიწოდებული საქონელი ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიღებულად.

7.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე) უფლებამოსილი პირები არიან: ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტები გიორგი პატარაშვილი, დავით ჭიჭინაძე და ამავე სამსახურის ლოჯისტიკოსი კონსტანტინე ონოფრიშვილი, მიმწოდებლის მხრიდან - პროექტების მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი;

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება სამი წლის ვადით;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

9.3. სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, მისი შემსყიდველისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

9.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების

მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

10.3.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4. თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში წარუდგენს შემსყიდველს უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას. გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

13.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია თანმხლები წერილით დაუბრუნოს მიმოწდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

13.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

13.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

13.8. გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი

მიმწოდებელთან, ხოლო ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მისამართი: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული
ს/კ 202294980

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა ა/ა 200122900
კოდი: 220101222

დირექტორი

გრიგოლ ბაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32050102-32050101/01/266
03.11.2014წ.

დანართი #1

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**Acer V226HQLBD Monitor Acer Veriton X2631G Desktop PC**	**Monitor**: 21.5", 16:9, 1920x1080, 5ms, 170/160, 100,000,000:1, 250cd/m, -5+25, DVI, VGA **Warranty 3 years** **Desktop**: i3 4130, 4GB, 500GB, 10/100/1000, DIMM - 2x, Dual Channel; PCI-E 16x - 1x, PCI-E 1x - 1x, USB 3.0 2x, USB 2.0 4x, DVI-D, VGA, Keyboard, Mouse **Warranty 3 years**	ცალი	4 332	773	**3 348 636**
					სულ დღგ-ს ჩათვლით:	**3 348 636**

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

მისამართი: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული
ს/კ 202294980

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა ა/ა 200122900
კოდი: 220101222

დირექტორი

გრიგოლ გაგოშიძე

მიმწოდებელი:

შპს „იუ–ჯი–თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გენერალური დირექტორი

ეთმილე სულაძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1693 2014 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი (ან უკეთესი) ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მათთვის 2014 წლის კრიტიკულად აუცილებელი ოდენობით და არა უმეტეს სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) საწყის სავაჭრო ფასად (780 ლარი).

2. განკარგულება ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

MES 4 14 00854544

29/10/2014

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ გრიგოლ გაგოშიძეს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ კონსოლიდირებული ტენდერით შესასყიდ 4668 ცალ პერსონალურ კომპიუტერთან დაკავშირებით ჩატარდა ბაზრის კვლევა. შესაძენი ტექნიკის სპეციფიკაციები განისაზღვრა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. თანდართული ფაილის სახით გიგზავნით მოთხოვნაში მითითებულ მახასიათებლებს. (იხ.დანართი)

მოთხოვნა გაეგზავნათ შემდეგ კომპანიებს:

შპს ულტრა
შპს ფორსი
შპს ანკო
შპს აპექს გრუპ
შპს ბე–დი+
შპს იზი პრინტი
შ.პ.ს. "ალტა"
შპს allmarket.ge
ელიტ კომპიუტერ სისტემსი (ელკო)
შპს softmaster
შპს ინფოზავრი ჯგუფი
შპს მაი მობაილ +
შპს პისი ქორნერ
შპს პისიშოპ.ჯი
შპს ფოტოპლაზა+
შპს ორიენტ ლოჯიკ
შპს ესაბი
შპს "კამარა სისტემს"
შპს ქარდ სოლუშენ
შპს კომპლექს პროჯექტს
შპს კოპი სერვისი
შპს კომპი შოპი
შპს იუჯითი
შპს პატრონ ჯორჯია
შპს თქვენი პარტნიორი
შპს CityMarket
შპს მილენიუმ დისტრიბუშენ ჯორჯია
შპს სოფთლაინ საქართველო
შპს "ელ სი თი"
შპს ზაგ ელექტრონიქს
შპს იმგო
შპს "[illegible]"

შპს იბერია ტექნოლოჯი
შპს "კვანტ-ელექტრონიკს"
შპს LYNX SYSTEMS
შ.პ.ს. "ლაზერლენდი"

შემოთავაზება მიღებულ იქნა შემდეგი კომპანიებისგან:

კომპანია	შპს "allmarket.ge"	შპს "Elco"	შპს "ალტა"	შპს "იუ ჯი თი"
რაოდენობა	4668 ცალი	4668ცალი	4668ცალი	4668ცალი
ერთეულის ღირებულება	778 ლარი	940 ლარი	670 ლარი	773 ლარი
ჯამური ღირებულება	3631704 ლარი	4387920 ლარი	3127560 ლარი	3608364 ლარი
მოწოდების ვადები	25 სამუშაო დღე		30 კალენდარული დღე	60 კალენდარული დღე
შენიშვნა	მონიტორის სპეციფიკაციები არ შეესაბამება ჩვენს მიერ მოთხოვნილს	ესშემოთავაზება არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ1 და 2 პირობას, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში	მონიტორის სპეციფიკაციები არ შეესაბამება ჩვენს მიერ მოთხოვნილს	შემოთავაზებული პესონალური კომპიუტერის სპეციფიკაცია სრულად შეესაბამება მოთხოვნილს

კვლევა ჩატარებულ იქნა 4668 ცალ კომპიუტერთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოო რაოდენობა არის 4332 ცალი. შპს "იუ ჯი თი", რომლის მიერ შემოთავაზებული სპეციფიკაციებიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ადასტურებს, რომ მიუხედავად რაოდენობის ცვლილებისა ერთეულის ფასი იქნება უცვლელი, რასთან დაკავშირებითაც იხილეთ თანდართული მიმოწერა.

კომენტარები შენიშვნის სახით განისაზღვრა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლის მიერ, რის საფუძვლადაც თანდართული ფაილის სახით გიგზავნით ელექტრონულ მიმოწერას.ასევე იხილეთ თითოეული კომპანიის მიერ გამოგზავნილი განფასება.

დანართი: 7 (შვიდი) ფაილი

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

MES 8 14 00773674

07/10/2014

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორის მოადგილეს
ბ-ნ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

კონსოლიდირებული ტენდერით გათვალისიწნებული სპეციფიკაციის კომპიუტერული ტექნიკის შემენა საჯარო სკოლებისთვის სრულებით მიზანშეწონილია, რადგან მოცემული პარამეტრები აკმაყოფილებს საჯარო სკოლის მოთხოვნებს.

პატივიცემით,